# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№206 2020 წლის 5 თებერვალი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილების საფუძველზე, შეთანხმებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტი, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი (დანართი №1 – ცხრილი №1, ცხრილი №2).
2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**

*დანართი №1*

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 08.01.2018წ.*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების ფორმა**

**სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური**

**ცხრილი №1**

**2020 წლის ბიუჯეტი**

ათასი ლარი

| დასახელება | მთლიანი ბიუჯეტი |
|---|---|
| ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის | 2,797 |
| | |
| შემოსულობები | 5,500 |
| შემოსავლები | 5,500 |
| მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | |
| მ.შ. საკუთარი შემოსავლები | 5,500 |
| არაფინანსური აქტივების კლება | |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | |
| ვალდებულებების ზრდა | |
| | |
| გადასახდელები | 4,942 |
| ხარჯები | 4,778 |
| შრომის ანაზღაურება | 2,090 |
| საქონელი და მომსახურება | 1,196 |
| პროცენტი | |
| სუბსიდიები | |
| გრანტები | 630 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 16 |
| სხვა ხარჯები | 846 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 164 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | |
| ვალდებულებების კლება | |
| | |
| ნაშთის ცვლილება | 558 |
| | |
| ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის | 3,355 |

*ცხრილი №2*

**საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმება**

| № | შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება | რაოდენობა | თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ ერთეულზე [1] | თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე[2] | სულ თანამდებობრივი სარგო თვეში[3] | სულ თანამდებობრივი სარგო წელიწადში | სულ წლიური შრომის ანაზღაურება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | 54 | | 39,100.00 | 160,700.00 | 1,928,400.00 | 2,090,000.00 |
| 1 | სამსახურის უფროსი | 1 | | 7,500.00 | 7,500.00 | 90,000.00 | 0 |
| 2 | სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე | 1 | | 7,000.00 | 7,000.00 | 84,000.00 | |
| 3 | სამსახურის უფროსის მოადგილე | 2 | | 6,300.00 | 12,600.00 | 151,200.00 | |
| 4 | დეპარტამენტის უფროსი | 3 | 10 | 6,000.00 | 18,000.00 | 216,000.00 | |
| 5 | სამმართველოს უფროსი | 10 | 9 | 3,500.00 | 35,000.00 | 420,000.00 | |
| 6 | მთავარი სპეციალისტი | 16 | 9 | 2,600.00 | 41,600.00 | 499,200.00 | |
| 7 | უფროსი სპეციალისტი | 11 | 9 | 2,000.00 | 22,000.00 | 264,000.00 | |
| 8 | სპეციალისტი | 9 | 9 | 1,600.00 | 14,400.00 | 172,800.00 | |
| 9 | ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი | 1 | 9 | 2,600.00 | 2,600.00 | 31,200.00 | |

[1] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანამდებობრივი სარგოებისთვის განსაზღვრული კატეგორიის შესაბამისი კოეფიციენტი;

[2] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლი წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საბაზო თანამდებობრივ სარგოზე;

[3] თვეში ერთ ერთეულზე თანამდებობრივი სარგოს ნამრავლი შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რაოდენობაზე.